# გორის მუნიციპალიტეტის
# საკრებულო
# განკარგულება № 37

**2020 წლის 13 მარტი**

**ქალაქი გორი**

**გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ 66.45.13.524; ფართობით 6,00 კვ.მ.) შპს „საქართველოს ფოსტისთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ**

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია შპს „საქართველოს ფოსტის" განცხადება. განცხადებაში აღნიშნულია, რომ შპს ,,საქართველოს ფოსტა'' ფლობს სავაჭრო ჯიხურების ფართო ქსელს თბილისში და საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში, როგორც პრესის გავრცელების, აგრეთვე საფოსტო და კომერციული საქმიანობისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს ,,საქართველოს ფოსტა" ითხოვს საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებას პირდაპირი განკარგვის წესით 6.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელიც მდებარეობს ქ.გორში, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარედ ს/კ 66.45.13.524;

აუდიტორული კომპანიის შპს „აუდიტკონომიქსის" მიერ 2020 წლის 17 თებერვალს წარმოდგენილი №გრ–10, „უძრავი ქონების შეფასების ანგარიშით" მიწის ნაკვეთისთვის (ფართობებით 6,00 კვ.მ.) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 246 (ორას ორმოცდაექვსი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ხოლო მისი იჯარის ფორმით გადაცემა, ადგილობრივ ბიუჯეტს შეავსებს გარკვეული ოდენობის თანხით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის

ნაკვეთის (ს/კ 66.45.13.524 მდებარე ქ.გორში, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარედ, ფართობით 6.00 კვ.მ) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „საქართველოს ფოსტისთვის" გადაცემა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს მიწის ნაკვეთი (ს/კ 66.45.13.524 მდებარე ქ.გორში, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარედ, ფართობით 6,00 კვ.მ.) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 3 (სამი) წლის ვადით გადასცეს შპს „საქართველოს ფოსტას", სავაჭრო ჯიხურის განსათავსებლად.
2. მიწის ნაკვეთის ს/კ 66.45.13.524 მდებარე ქ. გორში, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარედ; (ფართობით 6კვ.მ ) საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს 246 (ორას ორმოცი) ლარით.
3. საწყისი წლიური საიჯარო ქირა (ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე) განისაზღვროს 960 (ცხრაას სამოცი) ლარის ოდენობით.
4. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
5. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში საჩივრის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე